ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 31

"28" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი", ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 127^2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი", ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი", ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №20.145.158 განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების 2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტით განსაზღვრული, 2019 წლის 31 ივლისიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №20.145.158 განკარგულების დანართით წარმოდგენილი შეთანხმების

გაფორმების მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ 439402843) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - „მეიჯარე”) წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 01024052796) მიერ, ხოლო მეორე მხრივ, შპს „სითი ბოქსი“ (ს/ნ 439402843) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიერ (შემდგომში - „მოიჯარე“),

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“, ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №20.145.158 განკარგულების და „[●]“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების:

ა) მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.1 განათავსოს რეტერატ(ებ)ი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) დანართი 2-ით გათვალისწინებული რენდერის შესაბამისად და მიიღოს ექსპლუატაციაში დანართი 3-ში მითითებულ ლოკაციებზე (გარდა №5 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოსი, დანართი 3-ის №5 ლოკაციაზე და დანართი 4-ის ლოკაციებზე (გარდა №2 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2019 წლის 31 ივლისისა, ხოლო დანართი 4-ის №2 ლოკაციაზე არაუგვიანეს 2020 წლის 30 აპრილისა“;

ბ) დანართი 1 და დანართი 4 ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმების დანართების შესაბამისად.

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.

3. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ.

4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„მეიჯარე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

„მოიჯარე“

შპს „სითი ბოქსი“